საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 02/7208
16/10/2026

7208-01-2-202610161523

შპს სტარაკადემის (ს/კ 405201080)
მის: თბილისი, ვაკის რაიონი, ვ. გაბაშვილის ქ., №3, სართული 1, ბ. 30
ტელ: +995 032 296 77 99
ელ. ფოსტა: emp@staracader.ge

გაცნობებთ, რომ სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 16 ოქტომბრის N 04/1642 ბრძანებით, სსიპ - საქა ენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტომ (შემდგომში - სააგენტო) (შემდგომში - მომხმარებელი, განმცხადებელი) 2026 წლის 24 სექტემბრის N01/8608 განცხადების საფუძველზე, დაიწყო საქმის შესწავლა მოვაჭრის, შპს სტარაკადემის (ს/ნ 405201080) მიერ „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) შესაძლო დარღვევის თაობაზე

განცხადების თანახმად, შეწყვიტა ამერიკის Au Pair პროგრამაში მონაწილეობა და მოითხოვა გადახდილი თანხის (600 ლარის ოდენობით) უკან დაბრუნება, თუმცა კომპანიამ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, თამარ ოყროშაძე ითხოვს სააგენტოს მხრიდან შესაბამის რეაგირებას. კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე განმცხადებელს უფლება აქვს, სააგენტოს წარუდგინოს განცხადება მომხმარებლის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ.

საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 29 სექტემბრის №45 ბრძანებით დამტკიცებული „საქმის შესწავლის წესისა და პროცედურის" (შემდგომში - პროცედურა) მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს:
ა) ჰყავდეს წარმომადგენელი;
ბ) სააგენტოს წარუდგინოს პოზიცია, ინფორმაცია ან/და მტკიცებულებები საქმის შესწავლის ნებისმიერ ეტაპზე;
გ) გაეცნოს საქმის მასალებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 99-ე მუხლით დადგენილი წესით;
დ) მოითხოვოს ინფორმაციის/მტკიცებულებების წარდგენის ვადის გახანგრძლივება;
ე) განაცხადოს აცილება სააგენტოს თანამშრომლის მიმართ.

პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად სააგენტო საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში აწვდის მოვაჭრეს

შესაბამის ინფორმაციას, განუმარტავს მის უფლება-მოვალეობებს და განუსაზღვრავს არანაკლებ 5 სამუშაო დღის ვადას მომხმარებლის უფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე პოზიციის წარსადგენად.

პროცედურის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მოვაჭრეს უფლება აქვს, აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად (შემდგომ – პირობითი ვალდებულებები).

კანონის 33-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით, საქმის შესწავლის დასრულებამდე სააგენტო განიხილავს კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს. თუ სააგენტო მიიჩნევს, რომ მოვაჭრის მიერ ნაკისრი პირობითი ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.

ზემოხსენებულ შემთხვევაში, სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას ვალდებულებების შესრულების პირობებისა და ვადის შესახებ. ამის თაობაზე ინფორმაცია სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ქვეყნდება.

მოვაჭრის მიერ პირობითი ვალდებულებების აღების წესი დადგენილია პროცედურის მე-12 მუხლით, რომლის მიხედვითაც:
1. მოვაჭრე უფლებამოსილია, საქმის შესწავლის დასრულებამდე, სააგენტოს შესთავაზოს და აიღოს პირობითი ვალდებულებები კანონის სავარაუდო დარღვევის აღმოსაფხვრელად.
2. სააგენტო განიხილავს სავარაუდო დარღვევის აღმოფხვრის მიზნით მოვაჭრის მიერ შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და თუ მიიჩნევს, რომ ვალდებულებების შესრულების შედეგად აღარ იარსებებს კანონის სავარაუდო დარღვევის რისკი, იგი დაეთანხმება შეთავაზებულ პირობით ვალდებულებებს და საქმის შესწავლას კანონის სავარაუდო დარღვევის ფაქტის შეფასების გარეშე დაასრულებს.
3. თუ სააგენტო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს პირობითი ვალდებულებების მიღებას, იგი აღნიშნულის თაობაზე აცნობებს მოვაჭრეს და აგრძელებს საქმის შესწავლას. ამ შემთხვევაში, მოქმედებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული რეგულირება
4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სააგენტო მოვაჭრესთან დებს წერილობით შეთანხმებას, სადაც გათვალისწინებული იქნება ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო პირობები და გონივრული ვადა. ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.
5. სააგენტოს მიერ პირობითი ვალდებულებების მიღების შემთხვევაში, მოვაჭრე ვალდებულია, ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ შეთანხმებაში მითითებული ვადის გასვლიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში სააგენტოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული ღონისძიებების თაობაზე.

6. სააგენტო უფლებამოსილია მოვაჭრეს მოსთხოვოს მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება გარკვეული პერიოდულობით.
7. სააგენტო უფლებამოსილია ხელახლა დაიწყოს საქმის შესწავლა, რომლის ვადა 1 თვეს არ უნდა აღემატებოდეს, თუ:
ა) მოვაჭრე თავის მიერ ნაკისრ პირობით ვალდებულებებს სააგენტოს მიერ მასთან დადებული წერილობითი შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს;
ბ) პირობითი ვალდებულებები მოვაჭრის მიერ მიწოდებულ მცდარ, არაზუსტ ან შეცდომაში შემყვან ინფორმაციას ეფუძნება.

პროცედურის მე-7 მუხლის საფუძველზე, სააგენტო საქმეს შეისწავლის საქმის შესწავლის დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. საქმის შესწავლა, მისი მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 3 თვისა, რის შესახებაც ეცნობება როგორც განმცხადებელს, ასევე მოვაჭრეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, პროცედურის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წარმოგვიდგინოთ პოზიცია განცხადებაში დაფიქსირებულ გარემოებებთან დაკავშირებით, ასევე მოვაჭრის სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია სრულად.

დანართის სახით გიგზავნით სააგენტოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 16 ოქტომბრის N 04/1642 ბრძანებასა და საქმის მასალებს.

დანართი: 10 (ათი) ფურცელი.

პატივისცემით,

ამათი ამაროვი

დეპარტამენტის უფროსი - მ.შ.
მომხმარებლის უფლებების დაცვის დეპარტამენტი

